



საქართველოს აკადემია

პროფ. თინათინ მარგალიტაძე მთავარი რედაქტორი და გამომცემელი კითხვულობს ლექსებს თსუ ინგლისური განყოფილების სტუდენტებისათვის. ინგლისური ენის ისტორიისა და გუთური ენის სპეციალისტი. 1985 წლიდან დღემდე - დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის შემდგენელი, რედაქტორი, მთავარი რედაქტორი, გამომცემელი. დღეისათვის გამომცემელი აქვს ლექსიკონის თორმეტი ტომი. ევროპის ლექსიკოგრაფია ასოციაციის წევრი. ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის ნომინანტი „2005 წლის საპატიო ლაურეატი“ ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში გაწეული სამსახურისათვის.

პროფ. არიანე ჭანტურია ცნობილი მთარგმნელი და რედაქტორი. სხვადასხვა დროს აქტიურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან, თსუ ქართველოლოგიურ ცენტრთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან და სხვა. ბრიტანეთის მთავრობის გრანტით დაფინანსებული დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შემდგენელი და რედაქტორი.

პროფ. შუქია აფრიდონიძე 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიის ავტორი. სამეცნიერო ინტერესები: ქართული ენის სინტაქსი, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, სალიტერატურო ენის ნორმალისაცია-სტანდარტიზაცია, ქართული ენის სწავლება არაქართველთათვის, მეტყველების კულტურა, ენა და კულტურა, მწერლის ენა. კრებულ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ (VI-XII ტტ.) რედაქტორი. ბრიტანეთის მთავრობის გრანტით დაფინანსებული დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დოქტორი გელა ხუნდაძე (დარგობრივი ტერმინოლოგია)

რედაქტორები გიორგი მელაძე (III-X), რედაქტორი, უფროსი რედაქტორი გულნარა ანთელავა ნათია კვერნაძე, ხათუნა გურიელი და სხვა.



პX 4837/1. ი 33/1581
მახგარიტი ლიბიტევი

ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამომცემლობა

გამომცემლობის შესახებ

ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამომცემლობა „მარგალიტი ლიბიტევი“ დაფუძნდა 2005 წელს.

გამომცემლობის მიზანია დაასრულოს დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი; შექმნას მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც გააგრძელებს მუშაობას ლექსიკონის მუდრე, გადამშუავებულ გამოცემაზე და მუდმივად ასახავს მასში ინგლისურ ენაში მიმდინარე ცვლილებებს; გამოსცეს უფრო მცირეგანაინი ლექსიკონები სტუდენტებისათვის, სკოლის მოსწავლეებისათვის; გამოსცეს ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონები: ბიოლოგიური, მათემატიკური, ტექნიკური, ეკონომიკური და ა.შ.

ლექსიკონის გამომცემელი ტომების შექმნა შესაძლებელია გამომცემლობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 36, უნივერსიტეტის V კორპუსი, მესამე სართული

ტელ.: 26 95 55

ელ. ფოსტა dictionary@dictionary.ge

ვებ-გვერდი www.dictionary.ge

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი



ქართული ლექსიკონი



დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 18 ტომად 160 000 სიტყვა-სტატიას მოიცავს.

ლექსიკონის შექმნის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე ჩაისახა გასული საუკუნის 60-იან წლებში, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის, იმჟამად კათედრის გამგის, პროფ. გივი გაჩეჩილაძის ინიციატივით.

ლექსიკონზე მუშაობამ მთელი რიგი ეტაპები განვლო, სანამ შემუშავდა ის ლექსიკოგრაფიული პრინციპები, რაც ასეთი მოცულობის ვეროპულ-ქართულ ლექსიკონს შეიძლება დაედოს საფუძვლად.

ლექსიკონი განკუთვნილია არა მხოლოდ ინგლისური ენის სპეციალისტებისათვის – ენათმეცნიერების, ლიტერატორების, მთარგმნელებისა თუ პედაგოგებისათვის, არამედ ინგლისური ენით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსაც, რამდენადაც მასში დიდი რაოდენობითაა შეტანილი როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ასევე ეკონომიკური, ხელოვნების თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გამოდის ნაკვეთებად, ტომების სახით. ამის არაერთი პრეცედენტი არსებობს როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლექსიკოგრაფიაში.

დღეისათვის გამოცემულია ლექსიკონის თორმეტი წიგნი (A – N). ლექსიკონის გამოცემა ორ-სამ წელიწადში დასრულდება.



ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სიტყვანი ძირითადად აღებულია ი. გალპერინის საერთო რედაქციით გამოცემული 150 000-სიტყვიანი „დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონიდან“ და ამავე ლექსიკონის 12 000-სიტყვიანი დამატებიდან. სიტყვა-სტატიების აგებულებაც მნიშვნელოვანწილად აღნიშნულ ლექსიკონს ეყრდნობა.

სიტყვა-სტატიაზე მუშაობისას, სარედაქციო კოლეგია იყენებს ინგლისური ენის შემდეგ განმარტებით ლექსიკონებს:

- დიდი ოქსფორდის ოცტომეული ლექსიკონი, რომელიც ნახევარი მილიონი სიტყვა-სტატიისაგან შედგება. სარედაქციო კოლეგია იყენებს ლექსიკონის კომპიუტერული ვარიანტის სულ ბოლო გადამუშავებულ ვერსიას, რომელშიც უკანასკნელი ოცწლეულის ლექსიკური სიახლეებიც არის შეტანილი;
- ვებსტერის დიდი ლექსიკონი, რომელიც ასევე 500 000 სიტყვა-სტატიას მოიცავს;
- ოქსფორდის, ვებსტერის, კემბრიჯის უფრო მცირეტანიანი გამოცემები;
- ლონგმენის, კობილდის და მრავალი სხვა ლექსიკონი (იხ. ლექსიკოგრაფიული წყაროები ლექსიკონის ვებ-გვერდზე).

ლექსიკონის ყოველ სიტყვა-სტატიაში მოცემულია სიტყვის გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტური დახასიათება.

სიტყვა-სტატიებში მაქსიმალურადაა წარმოდგენილი ინგლისური სიტყვების პოლისემანტური მნიშვნელობები, შესიტყვებები, ფრაზეოლოგიური ერთეულები და სხვ.



ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში დიდი რაოდენობითაა შეტანილი როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ასევე ეკონომიკური, ხელოვნების თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

ავიაცია, ანატომია, ანთროპოლოგია, არქეოლოგია, არქიტექტურა, ასტრონომია, საბანკო საქმე, ბიოლოგია, ბიოქიმია, ბოტანიკა, კომპიუტერული და გამოთვლითი ტექნიკა, გეოგრაფია, გეოლოგია, ეკონომიკა, ელექტროტექნიკა, თეატრმცოდნეობა, ინფორმატიკა, იურიდიული, მათემატიკა, მედიცინა, მეტალურგია, მინერალოგია, მუსიკა, რადიოტექნიკა, სოფლის მეურნეობა, ტელევიზია, ფერწერა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ფოლკლორი, ხელოვნება, ჰერალდიკა ... (იხ. შემოკლებების სია პირველი ტომის წინასიტყვაობაში) – ესაა არასრული სია იმ დარგებისა, რომლებიც საკმაოდ სოლიდური რაოდენობის ტერმინებითაა წარმოდგენილი ლექსიკონში.

ტერმინებზე სამუშაოდ შექმნილია ტერმინოლოგიური კომისია, რომლის რედაქტორები ყოველ ტერმინს სკრუპულოზურ რედაქციას უკეთებენ, უპირატესად დიდი ოქსფორდისა და ვებსტერის ლექსიკონების მიხედვით.

ტერმინის ქართული შესატყვისის დადგენა კი ხდება შესაბამის დარგობრივ ლექსიკონებში და ენციკლოპედიურ წყაროებში.